პროექტი „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“

ესსეების კონკურსი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვით საკითხებზე დაიწყო !

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, აცხადებს ესსეების კონკურსს თემაზე **„სტიქიური ნაგავსაყრელები და გარემოს დაბინძურება“** რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდების თვალით დანახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ესსეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 20 იანვარი 18.00 საათი და უნდა შეადგენდეს 5-7 გვერდს.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 2 გამარჯვებული (I და II) რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო 500 და 400 ლარის ოდენობით.

ესსეს სათაურია:

„სტიქიური ნაგავსაყრელების ნეგატიური გავლენა გარემოზე და მოსახლეობის ჯანმრთელობა“

და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. ესსეში უნდა აღიწეროს სტიქიური ნაგავსაყრელების გავრცელების ადგილები საქართველოში და, შესაბამისად, მათ მიერ დაკავებული ფართობები;

2. რა ტიპის კვლევებია ჩატარებული სტიქიური ნაგავსაყრელების ფრაქციული შემადგენლობის გარშემო;

3. როგორ განსხვავდება სტიქიური ნაგავსაყრელების შემცველობები სხვადასხვა ქვეყნებში;

4. როგორია სტიქიური ნაგავსაყრელების ფრაქციული შემცველობა სეზონურობის მიხედვით;

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ – Georgian Society of Nature Explorers “Orchis”
საქართველო, თბილისი, 0160, ტაშკენტის ქ. №10ა, - 10a, Tashkenti str., 0160, Tbilisi, Georgia, ტელ/Tel: (+995 32) 2 38 51 99 / (+995) 595 33 56 99
E-mail: orchisge@yahoo.com; Web: www.orkisi.ge

5. როგორ, ან რა გზებით ხვდება სტიქიური ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე ესა თუ ის დამაბინძურებელი ინგრედიენტები, ან რომელიმე ტოკსიკური ნივთიერებები;

6. რამდენად უქმნის საფრთხეს, ან ახდენს ნეგატიურ გავლენას საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ანტისანიტარული მდგომარეობა მახლობლობაში მცხოვრებ ადამიანების ჯანმრთელობაზე, ან რა ტიპის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევებია ჩატარებული ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების შესასწავლად ან მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხის დასადგენად იმ შემთხვევაში თუ ნაგავსაყრელი განთავსებულია მდინარის პირას და ა.შ.

თემა მოიცავს შემდეგ კონტექსტს:

მოკლე ინფორმაცია სტიქიურ ნაგავსაყრელებზე: საყოფაცხოვრებო ნარჩენი, თანამედროვე გაგებით, არ არის ადამიანისთვის გამოუდეგარი ან არასაჭირო რამ, არამედ დღეს ის გვევლინება, როგორც მეორადი გამოყენების საგანი, რომლიდანაც შეიძლება შეიქმნას მოსახლეობისათვის საჭირო მრავალი მოხმარების საგნები.

სტიქიური ნაგავსაყრელი, ეს არის - მოსახლეობის მიერ თვითნებურად შერჩეული ტერიტორია, სადაც ხდება ნარჩენების უკონტროლოდ განთავსება.

საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, იქ, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებენ და, შესაბამისად, ვერ აწვდიან საჭირო ინვენტარს მოსახლეობას, მრავლადაა სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც გარემოზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე დაბინძურების პროცესებში ახდენენ არასასურველ გავლენას. სამწუხაროდ, ისინი, ძირითადად, განლაგებულები არიან ხევებში (მდინარეების პირას), საძოვრებთან და დასახლებულ მოსახლეობასთან ახლოს.

სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების გზები - სტიქიურ ნაგავსაყრელებზე უმეტესწილად ხვდება სხვადასხვა ტიპის საგნები, საკვები პროდუქტები, თუ ნივთები (კონდენსატორები, ბატარეები, საღებავები, ელექტროტექნიკის საგნები, საბურავები და სხვა), რომლებიც შეიცავენ ისეთ დამაბინძურებელი კომპონენტებს, როგორებიცაა ზოგიერთი მძიმე კანცეროგენული ელემენტები, ბიოგენური ნაერთები და სხვა. შედეგად, ადგილი აქვს ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების ფაქტებს მოცემული კომპონენტებით და არსებულ პირობებში, გარკვეული დროის განმავლობაში (იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ნაგავსაყრელები ძირითადად მრავალწლიანებია) მათ ტერიტორიაზე აქტიურ მოღვაწეობას იწყებენ ისეთი ნაწლავური

ტიპის მიკრობები, როგორებიცაა ტოტალური კოლიფორმები, e-coli, ფეკალური სტრეფტოკოკები და სხვა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მოცემული ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე იქმნება ძლიერი ანტისანიტარული სიტუაცია, რაც თავისთავად საშიშროებას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობის ჯამრთელობას.

სტიქიური ნაგავსაყრელი განსაკუთრებით საშიში ხდება მოსახლეობისთვის, როდესაც ის მიმზიდველი ხდება შინაური ცხოველებისათვის და, შესაბამისად, ისინი მიირთმევენ ნაგავსაყრელეზე არსებულ სხვადასხვა პროდუქტს, რაც დამახასიათებელია და შეესაბამება საქართველოს სინამდვილეს.

ესეები გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტის მისამართზე: orchisge@yahoo.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება სადაც სწავლობთ, ფაკულტეტი და კურსი.

გისურვებთ წარმატებას!

პროექტს „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი”, დავიცვათ საქართველოს სისუფთავე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

ტაშკენტის ქ.10ა, 0160, თბილისი , საქართველო

ტელ: (+995 32) 2385199; მობ.: (+ 995 595) 335699

ელ. ფოსტა: orchisge@yahoo.com

ვებ-გვერდი: http://www.orkisi.ge

Project "Keep Georgia Tidy"

Essay Competition for High School Students on Environmental Issues has been launched !

With the financial support of the Government of Sweden and in the frames of the „Keep Georgia Tidy“ Project, Georgian Society of Nature Explorers “Orchis” announces an Essay Competition on the theme of **„Dumpsites and Environmental Pollution**“ which aims to promote environmental protection and the Sustainable Development Goals as they are perceived by the youth and to increase their engagement.

The Competition is open to students of high schools.

The deadline for the submission of essays is January 20, 2021, 18:00. Essays should comprise 5-7 pages.

Two winners (I and II) will be identified per theme in the frames of the Competition, which will be granted a monetary award comprising 500 GEL and 400 GEL respectively.

The headline of the essay is

„Adverse Impacts of Dumpsites on the Environment and Human Health“

and it shall describe:

1. Dumpsite locations in Georgia and areas occupied by them;

2. Surveys that have been carried out to identify fractional composition of waste disposed at dumpsites;

3. Differences in waste composition of dumpsites between various countries;

4. Fractional composition of waste disposed at dumpsites by seasons;

5. How or through which ways contaminants or toxins enter the territory of dumpsites;

6. The extent at which unsanitary condition of dumpsites found in Georgia threaten or adversely affect health of neighbouring population; what chemical and microbiological surveys have been carried out to study areas that adjoin dumpsites or to establish pollution level of river water if a dumpsite is located at the riverside, etc.

The theme covers the following context:

Brief information about dumpsites: In current understanding, household waste is not anything unuseful or not needed for human but nowadays it is perceived as a reusable material which could be utilized to produce various goods for people.

Dumpsite is an area arbitrarily selected and used by population for uncontrolled waste disposal.

Numerous dumpsites are present in Georgia and especially in its regions where local self-government cannot fully address needs and respectively deliver all necessary equipment to population. Causing pollution, they adversely affect the environment and their surroundings. Unfortunately, they are mainly arranged in ravines (at riversides), nearby pastures and residential areas.

Please send your essays on the following e-mail address: orchisge@yahoo.com indicating your contact information as well as the name of your high school.

Good luck!

„Keep Georgia Tidy“ Project is being implemented by the NGO Consortium: Georgian Society of Nature Explorers “Orchis”, Keep Georgia Tidy and Greens Movement of Georgia/Friends of the Earth Georgia through funding of the Government of Sweden, with support of Georgian Ministries of Environmental Protection & Agriculture, Regional Development & Infrastructure, and Education, Science, Culture & Sport, and in cooperation with the Solid Waste Management Company of Georgia and Environmental information & Education Centre.

Georgian Society of Nature Explorers “Orchis”

10a Tashkenti St., 0160, Tbilisi,

Georgia

Tel: (+995 32) 2385199; mob: (+ 995 595) 335699

E-mail: orchisge@yahoo.com

web-page: http://www.orkisi.ge

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ – Georgian Society of Nature Explorers “Orchis”
საქართველო, თბილისი, 0160, ტაშკენტის ქ. №10ა, - 10a, Tashkenti str., 0160, Tbilisi, Georgia, ტელ/Tel: (+995 32) 2 38 51 99 / (+995) 595 33 56 99
E-mail: orchisge@yahoo.com; Web: www.orkisi.ge